


**ჯალალ ედ-დინ  
რუმი**



**რჩეული ლირიკა**  
**ყაფალები, რობაიები, იბაჟები**



# მთარგმნელის ბიბლიოთეკა №5

მთარგმნელის ბიბლიოთეკა №5

მთარგმნელის ბიბლიოთეკა №5

მთარგმნელის ბიბლიოთეკა №5

## ჯალალ ედ-დინ რუმი

ყაზალები, რობაიები და  
იგავები “ღრმაბროვანი პოემიდან”  
სპარსულ-ქართული ლექსიკონით

წიგნი მოამზადა, სპარსული ტექსტები თარგმნა და ლექსიკონი შეადგინა

ალექსანდრე ელქერაშვილი

თბილისი  
2014 წელი

ვინც შეიცნობს საკუთარ თავს, იგი შეიცნობს ღმერთს!

ეს წიგნი წარმოადგენს "მთარგმნელის ბიბლიოთეკის" რიგით მეხუთე გამოშვებას და ეძღვნება დიდი სპარსელი (...და თურქი) პოეტის ჯალალ ედ-დინ რუმის, იგივე შექლანას და შექლუვის შემოქმედებას. კრებულში შევიგანეთ 50 ყაზალი, რომელთაგან მხოლოდ ათიოდეა ადრეულ პერიოდში თარგმნილი, 50 რობაი და ათიოდე იგავი (ყველა თარგმანი შესრულდა 2014 წელს).

გენიალური პოეტის ცხოვრების და ფილოსოფიური ნააზრების შესახებ მრავალი სამეცნიერო თუ პუბლიცისტური პოლიგრაფიულ-ელექტრონული გამოცემა არსებობს, მისი პოეზია ძალიან პოპულარულია ინგლისურენოვან სამყაროში და განსაკუთრებით აშშ-ში, ასევე ევროპაშიც და რუსეთშიც. ქართველებმა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გაიყენეს მის შემოქმედება (იგულისხმება ქართული თარგმანები), თუმცა ის, რაც თარგმნილი და გამოცემულია, ძალიან ცოტაა იმასთან შედარებით, რაც ორიგინალის ენაზე არსებობს... ჩვენც შევეცადეთ მცირეოდენი წვლილი შეგვეტანა, ასე უთქვამთ: "ქართულ რუმოლოგიაში (...ან ჯალალოლოგიაში)" და ამ მიზნით ვთარგმნეთ ყაზალები, რობაიები, იგავები და აფორიზმები, კომენტარები და ლექსიკონი დაეურთეთ აღმოსავლელი ბრძენის ნააზრებს...

მეექვსე წიგნად "მთარგმნელის ბიბლიოთეკის" სერიაში განზრახულია იტალიელი პოეტის, ფრანჩესკო პეტრარკას, სონეტების ქართული თარგმანების გამოცემა.

წიგნი ააწყო და დააკაბადონა - ალექსანდრე ელერდაშვილმა  
ტექნიკური რედაქტორი - ნატალია ბერიკიშვილი

ნახატები და ილუსტრაციები ამოღებულია  
ბოლოსწინა გვერდზე ჩამოთვლილი გამოცემებიდან და  
ინტერნეტში არსებული სხვადასხვა საიტებიდან.

გარეკანის პირველ და ბოლო გვერდებზე -  
ჯალალ ედ-დინ რუმის ძეგლი და მავზოლეუმი  
თურქეთის ქალაქ კონიაში.

ISBN 978-9941-427-94-7

ბიბლიოთეკის  
ფონდი 4102

## მთარგმნელის წინასიტყვაობა



ჯალალ ედ-დინ რუმი კაცობრიობის ისტორიის ერთი ისეთი გამოჩენილი ადამიანია, რომელიც თავის მსგავსებთან ერთად საკუთარი ნააზრევით სულიერად თუ მაგერიალურად ასაზრდოებენ მომდევნო თაობებს... თუმცა ყველა თაობა ცდილობს თავის იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოაქციოს მავანი გენიოსის სულისკვეთება და ამა თუ იმ ეპოქის მოძღვრებათა სამსახურშიც კი ჩააყენოს...

ჯალალ ედ-დინ რუმი დაიბადა 1207 წლის, 30 სექტემბერს და გარდაიცვალა 1273 წლის 7 (ან 17) დეკემბერს... მის ბიოგრაფიას და ცხოვრებასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ რევიონებს, რა თქმა უნდა, ცალკე მიმოვიხილავთ, ჯერ კი ამ პიროვნების სახელი დავაზუსტოთ და შევარჩიოთ ჩვენთვის მისაღები ვარიანტი.

### სახელი

უცნაური ბედი ხვდა წილად ადამიანს, რომელმაც ისე განვლო მთელი ცხოვრება, რომ დაეჭვებული იყო საკუთარი არსების, არსის თუ გარსის თუ მათთან დაკავშირებული ყველა საკითხის რაობასა და ჭეშმარიტებაში... თავადვე ხომ აცხადებდა, რომ არ იყოლა – ვინ იყო და სად არსებობდა... მისმა შთამომავლებმა და თუ მისი საქმიანობით დაინტერესებულმა ადამიანებმაც “წარმატებით მიბაძეს” მას და სახელიც კი ისეთი გაურკვეველობებით აღჭურვეს, რომ პოეტი ამ “ბუნდოვანებას”, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ალბათ მოიწონებდა კიდევ:

სხვადასხვა ქვეყანაში სახელის თავისებური ვარიანტი არსებობს.

ირანში, როგორც წესი, მას “მეველევინ” მოიხსენიებენ, რაც ნიშნავს “ჩემს მოძღვარს, ბაგონს...”, თუმცა არის მეორე ვარიანტიც – “მეველანა” (მოულანა), რაც თავის მხრივ “ჩვენს მოძღვარს, ბაგონს...” ნიშნავს და ამ უკანასკნელს უფრო თურქულენოვანი ხალხი იყენებს...

დაბადებისას მომავალი პოეტისთვის ასეთი სახელი უწოდებიათ: მოჰამად იბნ მოჰამად იბნ ჰოსეინ ჰოსეინი ხათიბი ბაქრი ბალხი... ყველა დანარჩენი აგრობუტი ვინაობის მოხსენიებისა მან მოგვიანებით შეიძინა, როგორცაა: “ჯალალ ედ-დინ” (დიდება სარწმუნოებისა), მეველევინ და მეველანა, რუმი (რუმელი... ანუ “რუმ-ში მცხოვრები) და ა.შ. ირანთან დაკავშირებით შეგვიძლია ყველაფერი ასე შევაჯამოთ: ჯალალ ედ-დინ მოჰამად ბალხი (ბალხელი), ანუ “ბალხს” ანიჭებენ უპირატესობას და არა “რუმს”. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასევე

ცნობილია ფსევდონიმებად მიჩნეული სპარსული სიტყვები, რასაც უფრო ნაკლებად ვხვდებით სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც თახალოსს, მაგრამ მათი არსებობა მაინც დადასტურებულია, ესენია: “ხოლავანდგარ” (მეუფე, მბრძანებელი) და “ხაშუმ” (მღუმარი)... ეს უკანასკნელი ხსენებულ თახალოსადაც აქვს გამოყენებული პოეტს და მის შესახებ ყაზალებთან დაკავშირებულ მცირე წერილში ვისაუბრებთ.

თურქები “თავისი პოეტის” (როგორც ისინი მიიჩნევენ) სახელს ასეთი სახესხვაობით წერენ:

Celâleddin Muhammed Belhi, Celâleddin Muhammed Rûmi. გაჯიკები, რომლებიც ასევე “თავის პოეტად” თვლიან ჩვენი საუბრის აღრესაგს (ზოგი ვერსიით იგი თანამედროვე გაჯიკეთის გერიტორიაზე დაიბადა), რუსული მრიფით ასე წერდნენ მის სახელს (ასე აწერია ძეგლს ლუშანბეში) – Мавлоно Чалолиддин Руми.

ორი ვარიანტი გვხვდება პოეტის ინგლისურენოვან მოხსენიებაში: Jalaluddin და Jalal al-Din; აქ საინტერესოა და უცნაურია ფორმა “ედ-დინ”, რასაც სხვა ენებში “ედ-დინ” ან “ედ-დინ” ან “იდ-დინ” შეესაბამება.

რუსული ენაც რამდენიმე სახეობას გვაძლევს: Джалаал ад – Дин, Джалааледдин, Джалаалидин, Джелалс ад – дин; ამ უკანასკნელში ერთობ უცნაურად გამოიყურება ე.წ. “შიაჯი მნაკი” (ს)... რა პრინციპით გაჩნდა ეს “მნაკი”, გაუგებარია... ასევე ეცნაურია ад – дин (ედ-დინ), რუსები, როგორც წესი, სხვა სახელებში წერენ ასე: Саад – эд – дин, Халед Мохи эд – дин და ა.შ

როგორც ხედავთ, ერთიანი დაკანონებული ფორმა არ არსებობს და ამ მხრივ არც ქართული ენა ჩამორჩება უკვე ხსენებულ ენებს.

ქართულში გვაქვს სამი ვარიანტი: ჯელალ ედ-დინი, ჯალალ ედ-დინი და ჯალალედინი.

ჩვენ ვარჩიეთ ფორმა “ჯალალ ედ-დინ”, რადგან სიტყვა “ჯალალ” (جلال – დიდება) ლექსიკონებში სწორედ “ა” ასოთია გახიზნებული (მეორე “ა” არის გრძელი და მას ვერაფერი შეცვლიდა), თუმცა არც “ჯელალ” არის

დიდი უბედურება, რადგამ მოკლე "ა" ქართულში ბევრ სიტყვაში "ე"-ს სახით არის შემოსული. "ედ-დინ" ფორმა, დეფისით დაწერილი, ალბათ, გრამატიკულად არ არის სწორი (დეფისი რაღაც გამოყოფილი სიტყვის სანაცვლოდ იწერება), მაგრამ ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გრადიციულად ასე წერია და ჩვენც იმიტომ შევინარჩუნეთ ის. გარდა ამისა, ასეთი ფორმით - "ჯალალ ედ-დინ" - ამ სახელს განასხვავებს სხვა ისტორიული პირის - ჯალალედინ ხვარაზმელის - სახელისგან და ესეც, ალბათ, ყურადსაღები ფაქტია. არის კიდევ ერთი მომენტი - ქართული ლიტერატურა გრადიციად ამ "დინ"-ს (სარწმუნოებას), როგორც წესი, მის წინამდებარე სახელთან ამთლიანებს; მაგალითად, გავიხსენოთ "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები: ნურადინი (ფრიდონი), შერმადინი, ფარსადანი, სარიდანი და... ავთანდილიც (როგორც ჩანს, ეს არის "ოუთან ედ-დინ"); ამ გრადიციით, პოეტ ჯალალ ედ-დინ რუმის სახელი ასე უნდა დაგვეწერა - ჯალალადინი ან ჯალადინი (გაიხსენეთ თუნდაც ჯვაროსნების წინააღმდეგ მებრძოლი სულთანი სალადინი, რომლის სახელი სრულად ასე იწერება სალად-დინ იუსუფ იბნ აიუბი); ალბათ, დღეს "ჯალადინს" დაწერდით კიდევ, მისი სახელი შუა საუკუნეებში ლიტერატურული საქმიანობით დაკავებულ ქართველთათვის ცნობილი რომ ყოფილიყო, მაგრამ... ქართველებისთვის კი არა, მას თავად სპარსელები არ სცნობდნენ დიდხანს, როგორც პოეტს (ლიტერატორს) და მას უფრო რელიგიის ფილოსოფოსად და თეოლოგად აღიქვამდნენ, თუმცა ახლაც ასე უფრო აღიქვამენ ირანშიც და სხვაგანაც, რადგან რატომღაც ჯალალ-ედ დინ რუმის შემოქმედება და მოგადად ნააზრევი მავანთათვის უფრო თავისი მისტიკით და "იდეურობითაა" საინტერესო, ვიდრე იმ უბადლო და უსაზღვრო პოეტური უნარით, რაც მას განგებამ უბოძა...

ასეა თუ ისე, მთელი მსოფლიო ამ გენიალურ ადამიანს მოკლედ ასე მოიხსენიებს და ეს გახლავთ - "რუმი", რაც არსებითად "რომაელს" ნიშნავს და ამას ის მიზეზი აქვს, რომ სპარსულენოვანი ხალხი აღმოსავლეთ რომის იმპერიას და შემდგომ ბიზანტიას სწორედ ასე უწოდებდა - "რუმი", ეს არის დაახლოებით დღევანდელი თურქეთის გერიტორიის აზიური ნაწილი, სადაც მდებარეობს ქალაქი კონია, სწორედ ამ ქალაქში გააგარა ცხოვრების დიდი ნაწილი პოეტმა, ეს ქალაქი რუმის სასულთნოს ცენტრი იყო და სელჯუკთა დიდი იმპერიის უკიდურეს დასავლეთ რეგიონს წარმოადგენდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ "რუმი" (ფუძისეული "ი"-თი) ნიშნავს რუმელს/რომაელს... აქედან გამომდინარე, მართლწერის დასამუსგებლად, გვსურს აქვე დავაზუსტოთ, რომ სწორი ფორმა იქნება: ჯალალ ედ-დინ რუმში (...და არა რუმი-მა); ამის დამუსგება შედგება არ მიგვაჩნია, რადგან ბევრჯერ გვსმენია რუდაქის, ფირდოუსის, ნიზამის, რუმის, საადის თუ ჯამის არასწორი მოხსენიება მოთხრობით ბრუნვაში (მაგ. ფირდოუს-მა)... სწორი ფორმები: რუდაქიმ, ფირდოუსიმ, საადიმ, ჯამიმ და ა.შ.

## დაბადების აღიანი გეოგრაფი. გეოგრაფიკი ანა ხსოვარების აღიანი წლები

ჯალალ ედ-დინ რუმის დაბადების თარიღი მუსტაფა ცნობილი - 1207 წლის 30 სექტემბერი (მთვარის კალენდრის თანახმად ეს იყო 604 წელი), თუმცა ერთი თურქი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი 1184 წელს დაიბადა, მაგრამ ეს ნაკლებად სარწმუნოა... რაც შეეხება დაბადების ადგილს, ასეთ პატივს ორი ქალაქი ეცილება ერთმანეთს: ერთი გახლავთ ახლანდელი ავღანეთის ქალაქი ბალხი, მეორე კი დღევანდელი ტაჯიკეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე დასახლებული პუნქტი ვახში. ასეა თუ ისე, ეს ორივე ქალაქი ოდესღაც ისტორიული ირანის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ნაწილში - ხორასანში - შედიოდა და ჩვენც მოგადად ხორასნელად მოვიხსენიოთ მოჰამად იბნ მოჰამად იბნ ჰოსეინი, რომელსაც სარწმუნოების დიდება - ჯალალ ედ-დინი - უწოდეს შემდგომში... მის მშობლიურ ქალაქად კი მკვლევართა უმეტეს ნაწილს მაინც დიდი ისტორიისა და გრადიციების მქონე "ბალხი" მიაჩნია... ეს ქალაქი მეორე ათასწლეულის დასაწყისში, ნიშაპურთან და გუსთან ერთად, არა მარტო ხორასნის, არამედ მთელი ირანის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი იყო... ის ახლაც მდებარეობს ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ქალაქ მამარი-შარიფიდან ოციოდე კილომეტრში და პაგარა დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს... საყურადღებოა ისიც, რომ მარტო პოლს აქვს დატოვებული გარკვეული ინფორმაცია ბალხის შესახებ და მას (უკვე მონღოლთა შემოსევის შემდეგ, XIII საუკუნის მიწურულსაც კი) "ღირსეულ და დიად ქალაქად" მოიხსენიებს... მანამდე კი, ამ რეგიონში ისლამის დამკვიდრებამდე, ქალაქი ბალხი მონოთეისტების ერთ-ერთი ცენტრიც კი იყო და მართლმადიდებლობის დაბადების ადგილად მიჩნეული, ხოლო "აბრეშუნიის გზის" სრული დატვირთვით მოქმედების დროს აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის საქარავნო გზების გასაყარზე მდებარეობდა და მისი მოსახლეობა ერთ მილიონსაც კი აღწევდა...

არაბები ბალხში 645 წელს გამოჩნდნენ, 715 წლიდან კი, სელჯუკთა და შემდგომ მონღოლთა დაპყრობითი ომების დაწყებამდე, მყარად ახორციელებდნენ ამ რეგიონზე ზეგავლენას და ისლამს და მასთან დაკავშირებულ მთელ სოციალურ-კულტურულ სექტორს ავრცელებდნენ ხორასნიდან შუა აზიის ქალაქებისკენ (ბუხარა, სამარყანდი, ხივა...)

ჩვენ მიერ სახელდახელოდ მოხაზულ რუკაზე მონიშნულია ის ქალაქები (მხოლოდ თეირანი არ არსებობდა მაშინ), რომლებიც XII საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არაბეთის ხალიფატის მთელ აღმოსავლეთ ნაწილში (მცირე აზიის ნაწილი, სირია, ერაყი, ირანი, ავღანეთი, შუა აზია, ინდოეთის ნაწილი). ეს გერიტორია გარკვეული ხნის განმავლობაში (დაახლოებით X-XVII საუკუნეებში, სუფიანთა იმპერი-



ბათ, იყო ის, რომ სპარსული პოემების ეს ორი დიდი წარმომადგენელი მართლაც შეხება ერთმანეთს ცხოვრებაში, სხვა დანარჩენის რელურობა კი თავად განსაკუთრებული სულთამხილავმა ფარად ედ-დინ ათარმა მის მეგობრის ბაპა ედ-დინის ვაჟის არსებაში თავისი შემკვივრული მომავალში სრულიად სუფიზმის უპირველესი მოძღვარი განვერთა და მას აჩუქა თავისი მისტიკური პოემა – “ასრარ-ნამე” (იღუმალებათა წიგნი) – და ამ ძეგლს საგანგებო ღვთიური კურთხევაც (ბარაქა) მიჰყოფდა, რითაც მომავალი პოეტი და მოძღვარი შეძლებდა ადამიანში სულიერი “არხების” გახსნას და უზენაესი სამყაროს შეცნობას. მის მამას კი უთხრა: “შენი შვილი ღვთაობაში აღანთებს ცეცხლს, რითაც ღვთისმსახურებას გამოაოგნებელი ელვარება შეემატება”...

\*\*\*

1219 წელს (ზოგი ვერსიით – 1217 წელს) ბაპა ედ-დინ ვალადი იძულებული შეიქნა ოჯახთან ერთად, გასულიყო მშობლიურ ქალაქს და მთელ ხორასანს, რადგან მონღოლთა შემოსევები სულ უფრო ხშირი და აუტანელი გახდა და მათი ტირანის უღელქვეშ ცხოვრება ნამდვილად შეუძლებელი გახდა. ნათქვამია – ზოგი ჭირი მარგებელიაო – და მათ, მონღოლების კვალდაკვალ ღვეზის გამო, დაიწყეს მოგზაურობა და მოიარეს იმდროინდელი აღმოსავლური სამყაროს ყველა დიდი ქალაქი თუ წმინდა ადგილი და ბოლოს ორიოდე წლით დაფუძნდნენ რუმის სასულთნოს პაგარა ქალაქ მალათიაში, შემდეგ აკუმეშიში, ყარამანში და ლარენდაში, სადაც გაატარეს ცხოვრების შვიდი წელი... 1225 წელს გარდაიცვალა ედ-დინი, მუმიანი-ხათუნი, ამავე წელს ჯალალ ედ-დინი დაქორწინდა გოუპარ-ხათუნზე... ერთი წლის შემდეგ მათ შეეძინათ ვაჟი – სულთან-ვახედი, რომელმაც შემდგომში დაწერა პოემა “ვალად-ნამე” – პაპის და მამის ცხოვრების ამსახველი პოეტიკური ქმნილება, ასევე “ფიჰე მა ფიჰე” (მასშია ის, რაც მასშია) – მეველანას რჩევა-დარიგებანი, სენტენციები და გამონათქვამები. რუმის პირველ მეუღლესთან ჰყავდა კიდევ ერთი ვაჟი – ალა ედ-დინ ჩალაბი, გოუპარ-ხათუნის გარდაცვალების შემდეგ კი მეორედ იქორწინა და შეეძინა ვაჟი და ასული: ამირ ამილ ჩალაბი და მალაქე-ხათუნი.

### ქალაქი კონია რუმის სასულთნო

ლარენდაში გატარებული მშვიდი და უბრუნველი ცხოვრება დასრულდა იმით, რომ სულთანმა ალა ედ-დინ ქეი-ყობადმა (ზეობის წლები – 1219-1236) პირადად მიიწვია ბაპა ედ-დინ ვალადი რუმის სასულთნოს მთავარ ქალაქ კონიაში და შესთავაზა სათავეში ჩასდგომა ერთ-ერთ ღირსეულ პრესტიჟულ სასულიერო სასწავლებელს... პოეტის მამამ ეს მიწვევა მიიღო და ოჯახი 1928 წელს კონიაში გადასახლდა, 1231 წელს კი ბაპა ედ-დინ ვალადი გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიკავა 24 წლის ჯალალ ედ-დინმა და მაშინვე შევიდა ადგილობრივ რელიგიურ ავტორიტეტთა ელიტარულ წრეში.

ქალაქი კონია (Konya, قونية) ახლანდელი თურქეთის სამხრეთ ნაწილში, ცენტრალური ანატოლიის გეგანზე მდებარეობს და არის კონიის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (მოსახლეობა – თითქმის 1,5 მილიონი); ეს ქალაქი უძველესი დროიდანაა ცნობილი *იკონიუმის* სახელწოდებით და იხსენიება ძველი ფრიგიის ქალაქებს შორის. ძვ.წ.აღ. I – ახ.წ.აღ. III საუკუნეებში შედიოდა რომის იმპერიის, ხოლო შემდეგ – ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში... შემდეგ ისევე, როგორც მთელი მახლობელი აღმოსავლეთი, შევიდა არაბული ხალიფატის შემადგენლობაში, ხოლო 1077-1307 წლებში იყო რუმის (იგივე კონიის) სასულთნოს ნაწილი, 1096 წლიდან კი მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი. XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა ჯალალ ედ-დინ რუმის მამის ხორასანიდან ღვეზილმა ოჯახმა თავი შეაფარა რუმის სასულთნოს, ეს ფეოდალური სახელმწიფო თავისი აღზევების გენიში იყო უკვე ხსენებული სულთნის ალა ედ-დინ ქეი-ყობადის ზეობისას და მისი საზღვრები ბიზანტიის იმპერიის გერიგორიათა შემოერთების ხარჯზე დარდანელის და ბოსფორის სრუტეებამდეც კი ვრცელდებოდა, თუმცა 1243 წელს რუმის სასულთნოს ჯარმა ქოსე-დაღის ბრძოლაში მონღოლებს მორიგ შემოსევას ვერ გაუძლო, დამარცხდა და მათი ვასალი გახდა... 1307 წელს კი საერთოდ შეწყვიტა არსებობა და შემდგომში ოსმალეთის დიდი იმპერიის ნაწილი გახდა...

როგორც ვთქვით, XIII საუკუნის დასაწყისში კონიას და მთლიანად რუმის სასულთნოს შუა აზიიდან, ხორასანიდან და ცენტრალური ირანიდან თავი შეაფარეს მონღოლთაგან ღვეზილმა რელიგიურ-სამეცნიერო თუ კულტურულ-ლიტერატურული წრეების ცნობილმა წარმომადგენლებმა... 1232 წელს თურმეზიდან კონიაში ჩავიდა ჯალალ ედ-დინის მამის ახლო მეგობარი საიდ ბურხან ედ-დინ და მთელი თავისი მოღვაწეობა მეგობრის შვილის აღზრდა-განათლებას შესწირა, ცხრა წლის განმავლობაში იყო ჯალალ ედ-დინი თურმეზიდან სწავლულის მიურიდი (მოსწავლე), რომელთაგან შვიდი წელი მათ ერთად გაატარეს დამასკის და პალაბის (ალეპოს) მათ ერთად გაატარეს დამასკის და პალაბის (ალეპოს) სასულიერო სასწავლებლებში, ხოლო კონიაში დაბრუნების შემდეგ, მათ იქ სხვა სულთანი – დიას ედ-დინ ქაიხნების შემდეგ, მათ იქ სხვა სულთანი – დიას ედ-დინ ქაიხნის II მეორე დახვდათ, რომელმაც კვლავ მიიწვია ჯალალ ედ-დინი მდღევანდელ და მას უკვე მიეცა უფლება დიდგვაროვანთა შვილების მოძღვარიც ყოფილიყო.

### 1240-44 წლები

ეს იყო წლები სიმშვიდისა და მომხიერებით გაჯერებული ცხოვრებისა, თითქმის ბედმა მისცა საშუალება ჯალალ ედ-დინ რუმის დიდი მღვდვარებით და საოცარი შემოქმედებით აღმასვლის წინ მოეთქვა სული და საკუთარი თავი ოჯახზე ზრუნვისა და მდღევანდელ საქმიანობისთვის მოეხდინა. მისი ბიოგრაფები კი კვლავაც ცდილობდნენ ამოეკითხათ მისი ხასწავლებრივი უნარი

თუნდაც მშვიდ ცხოვრებაში და წერდნენ, რომ მონღოლთა შემოსევებს იგი ლოცვითა და შეუცნობელ სამყაროსთან ურთიერთობით ეწინააღმდეგებოდა და ამით მან რამდენიმე წლით გადაწია ველურ ურდოებთან დამარცხება მისი უკვე მშობლიური რუმის სასულთნოსი... ჩვენთვის კი საინტერესო ის არის, რომ ამ წლებში ჩაისახა იდეა თუ სურვილი იმისა, რომ მას დაეწერა რაღაც კომენტარის მსგავსი ტექსტები ყურანისთვის, ოღონდ სპარსულ ენაზე და ეს იდეა მან მოგვიანებით განახორციელა, როცა შექმნა “მასნავი-ე მა'ნავი”, ყველაზე დიდი ნაწარმოები მისი შემოქმედებისა (მისი სათაურის მნიშვნელობა იხილეთ 79-ე გვერდზე). დროთა განმავლობაში ეს “მასნავი/მესნევი” იმდენად მნიშვნელოვანი ნაწარმოები გახდა, რომ მას “სპარსულენოვანი ყურანიც” კი უწოდეს.

...მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა...

### შამს-ე თაბრიზი ანუ “თაბრიზის მზე”

1244 წლის 26 ნოემბერს მოხვიალედ ღერვიში შამს ედ-დინ მოჰამად თავრიზელი მოულოდნელად გამოჩნდა ქალაქ კონიაში, სადაც იგი დამასკიდან ჩავიდა... ერთ მშვენიერ დღეს ამ ღერვიშმა დაინახა მისკენ მიმავალი კაცი, რომელიც დარბაისელი სახით იარებოდა და გარს ერტყა მოსწავლეთა და თაყვანისმცემელთა ბრბო... ამკარად ჩანდა, რომ ეს კაცი ქალაქის წარჩინებული პირი იყო და მას უკვე ჯაღალ ედ-დინი ერქვა... ღერვიში წამოღდა და გაეშურა მისკენ და მათ შორის შედგა მოკლე საუბარი რელიგიურ თემაზე, რამაც იმდენად დაინტერესა ორივე, რომ ისინი პრაქტიკულად განუდგნენ მიწიერ ცხოვრებას და 16 თვის განმავლობაში საუბრობდნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მათ ერთმანეთისთვის შექმნეს ერთგვარი სამყარო, მისტიკური განცდებითა და ვნებებით საუსე... შამს ედ-დინ თავრიზელი იღუმალებით მოცული პიროვნებად დარჩა ყველასთვის და ვარაუდობდნენ კიდევ, რომ ეს წარმოსახვითი, ლეგენდარული პიროვნება იყო ისეთივე, როგორც ბევრი სხვა, ვინც სპარსელი პოეტების ფანგაზით შეიქმნა, მაგრამ ირკვევა, რომ ეს ნამდვილად არსებული ისტორიული პიროვნება გახლდათ, ვინც რადიკალურიად შეცვალა ჯაღალ ედ-დინ რუმის ცხოვრება და შეიძლება ითქვას, რომ გახდა ბიძგისმცემი და სულისჩამდგმელი იმ პოეტისთვის, ვინც კაცობრიობის ისტორიაში სუფიზმის უდიდეს წარმომადგენლად ითვლება. სულ მალე ეს იღუმალებით მოცული პიროვნება ისევე უცნაურად გაქრა კონიიდან, როგორც გამოჩნდა... ვარაუდობდნენ, რომ იგი 1247 წელს მოკლეს, მაგრამ მისი ნეშტი ვერსად იპოვეს და იღუმალება იღუმალებადვე დარჩა... ამ ფაქტმა უდიდესი ტკივილი და ვნებათაღელვა გამოიწვია მისი მეგობრის, მომავალი დიდი პოეტის ცხოვრებაში... აქ ერთგვარი ანალოგია ჩანს იტალიელი პოეტის, ფრანჩესკო პეტრარკას და მისი მუზის, თითქმის წარმოსახვითი სატრფოს ლაურას სახესთან... ისევე როგორც რუმი, პეტრარკაც ერთხელ მოიხიბლა უმშვენიერესი არსების

ხილვით და შემდეგ წერდა მხოლოდ მისთვის და მასზე მამინაც კი, როცა აღარ იყო ცოცხალი მუბა მისი შემოქმედებისა...

ასეა თუ ისე, ჯაღალ ედ-დინ რუმის ცხოვრება შეიცვალა და როდესაც იგი დაუბრუნდა მედრესს და განაგრძო თავისი საქმიანობა, მსმენელებს და მოსწავლეებს იგი უკვე “შამს-ე თაბრიზის”, მისთვის სიცოცხლის მზის სახელით ესაუბრებოდა და ჭეშმარიტების შესაცნობად საკუთარი არსების შეცნობას სთავაზობდა და თან მრავალ იგავს იშველებდა ან იქვე თხზავდა ექსპრომტად უცნაური სულიერებით და აზრებით განმსჭვალულ ლექსებს (...რასაც იწერდნენ მოსწავლეები და შემდეგ ავრცელებდნენ და ინახავდნენ). იმავე წლებში დაარსდა მავლავის ორდენი ანუ “მოცეკვავე ღერვიშთა ძმობა”, რომლის წევრებიც სიცოცხლის იღუმალებასა და სიბრძნეში წვდომას ცდილობდნენ სულიერი ექსტაზის, სიმღერის, ცეკვის და პოემების საშუალებით...

“შამსის” გაქრობის შემდეგ ჯაღალ ედ-დინ რუმი ერთხანს სასოწარკვეთილებამ მოიცვა, მაგრამ ამას მოჰყვა კიდევ ერთი “სასწაული” მის ცხოვრებაში (...რაც ასე ძალიან უყვართ მისი ბიოგრაფიის მთხზველებს): მედრესს მასწავლებელმა და მოძღვარმა უცებ იგრძნო, რომ შამსის სული მის სხეულში ჩასახლდა და ერთ “მიწიერ ჭურჭელში” ორმა სუბსტანციამ განაგრძო ერთად სიცოცხლე. სწორედ ეს იყო მიზეზი – წერენ ბიოგრაფოსები – რომ ნიაღვარივით წამოვიდა მისი არსებიდან პოეტური ქმნილებები და ამ ყველაფრის ავტორად თვლიდა არა საკუთარ თავს, არამედ მასში მცხოვრებ მეორე “მე”-ს, რომელსაც “შამს-ე თაბრიზის” სახელით წარმოადგენდა ყაზალეების ბოლოს (...თითქმის როგორც თახალოსს). სწორედ ამ პერიოდში, 1247-1273 წლებში შეიქმნა მთელი ის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რამაც ჯაღალ ედ-დინ რუმის საქვეყნოდ გაუთქვა სახელი, როგორც მის თანამედროვე ეპოქაში (...რაც იშვიათი გამოჩაღისია), ასევე მომავალ ეპოქებშიც და იმდენადაც კი, რომ, მაგალითად, 2001 წელს აშშ-ში კოლმან ბარქსის (Colman Barks) მიერ თარგმნილი ყაზალეები და რობაიები ჯაღალ ედ-დინ რუმისა 500 ათასი გირაკით გაიყიდა და რუმი აღიარეს აშშ-ს 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის ყველაზე პოპულარულ პოეტად...

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მავლავის ღერვიშთა საძმო, რომელიც დღემდე არსებობს, მხოლოდ რუმის პოემების ნიმუშების თანხლებით მართავს მედიტაციებს და მისტიკურ რიტუალებს. სანამ ჯაღალ ედ-დინ რუმის ცხოვრების სხვა საკვანძო ეტაპებსა და მოვლენებს განვიხილავთ, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ მოგადად სუფიზმის შესახებ...

ჯაღალ ედ-დინ რუმის ქაბლი დუჰანაბუი



## სუფიზი

სუფიზმის არსის წარმოსაჩენად ჯალალ ედ-დინ რუმის შემოქმედების შესწავლა საჭირო (...და არა მხოლოდ თარგმნა), ამასთანავე იმ ზღვა მასალასთან გაცნობა, რაც სუფიზმის შესახებაა დაგროვილი მთელი მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში... წიგნის ბოლოს არის ჩამონათვალი ყველაზე საინტერესო გამოკვლევებისა სხვადასხვა ენებზე და მათი მოძიება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ თუნდაც ინტერნეტის ელექტრონულ ბიბლიოთეკებში, ამჯერად კი გთავაზობთ ფრაგმენტებს ბაგონი ვახუშტი კოტეგიშვილის წერილიდან, სადაც ყველაფერი გასაგებად და ნათლად წერია (ირანული პოეზია, შესავალი წერილი, გვ. 22-25):

“სუფიზმი ჩაისახა არაბეთში VIII ს დასაწყისში, ე. ი. მისი გენეზისი უშუალოდ მოსდევს ისლამის წარმოშობასა და გავრცელებას. თვით გერმინს უკავშირებენ არაბულ სიტყვას “სუფ”, რაც ნიშნავს შალის უხემ ქსოვილს, რომლითაც ამ მოძღვრების მიმდევარნი იმოსებოდნენ. სუფიზმი, როგორც მისტიკური ხასიათის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, უადრესად რთულ სისტემას წარმოადგენს, რომელიც ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი და გამოკვლეული. მასში ნეოპლატონური, ქრისტიანული, ბუდისტურ-ჰინდუსტური თუ ძველ ირანულ რწმენათა იდეები ისეა გადახლართული, რომ საკმაოდ ძნელდება ამ რთული სინთეზური მოძღვრების ჯეროვანი მეცნიერული ანალიზი...”

ირანულ სამყაროში სუფიზმი, უმთავრესად, იმ თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას, რომ იგი იქცა პოეტურ ფილოსოფიად, რომელმაც უადრესად დიდი ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ სპარსულ კლასიკურ მწერლობაზე, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის (და ნაწილობრივ ინდოეთის) პოეტურ ამროვნებაზეც. ამ მსოფლმხედველობამ შეიმუშავა სპეციალური გერმინოლოგია, რომელმაც უადრესად საინტერესო და თავისებური პოეტური სიმბოლიკის სახე მიიღო. მასში, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივსა და ყოველდღიურ ცნებათა მიღმა იმალება მისტიკურ-ფილოსოფიური სემანტიკა, რომლის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ ნაწარმოების ჭეშმარიტი არსის წვდომა.

სუფიზმის... ძირითადი დებულებები მარტივად და სქემურად შესაძლოა ასე ჩამოყალიბდეს: სამყაროში არსებობს მხოლოდ ერთადერთი რეალობა – აბსოლუტი, ღმერთი, სიყვარულის შინაგანი პოტენცია მას აიძულებს განესხვისოს საკუთარ ერთარსებას, რათა გაიზინოს სიყვარულის ობიექტი. ეს განსხვავება (ემანაცია) წარმართება დამავალ-აღმავალი გზით: ღმერთი – კრისტიანი – ფლორა – ფაუნა – ადამიანი – ანგელოსი – ღმერთი, მაგრამ ეს საფეხურებრივი იერარქია მოწვევებითა და ჭეშმარიტ რეალობასთან არავითარი კავშირი არ გააჩნია. ვინაიდან ერთადერთ რეალობას თვით აბსოლუტი წარმოადგენს, ადამიანის ინდივიდუალობა და მთელი მისი გარემომცველი სამყარო, მნობრივ-ეთიკური კატეგორიები, სიკეთე და ბოროტება მხოლოდ მო-

წვენიებაა და სხვა არაფერი. ადამიანი, რომელიც ამ მოწვევებითი ინდივიდუალობის გვერდში იმყოფება, უნდა ცდილობდეს “მე”-ს საზღვრების გადალახვას და თავის სავე არსებაში ღვთაებრივი საწყისის წვდომას...

გემოთქმულიდან გამომდინარე, სუფიური მოძღვრება ადამიანისგან მოითხოვს საკუთარი “მე”-ს ჩახშობას და იმის შეგნებას, რომ ჭეშმარიტი “მე” არის ღმერთი “ჩემში” არსებული. ეს უდრის აბსოლუტის წვდომას და მასთან შერწყმას. ამის მისაღწევად არსებობს ერთადერთი გზა – სულიერი ექსტაზი, რომელიც ადამიანს თავს ავიწყებს და გამოჰყავს იგი მაცოტუნებელი, მოწვევებითი რეალობის გვერდებიდან. ასეთი თავდავიწყება სუფიზმის უპირველესი მოთხოვნაა.

ამრიგად, ირანელ მისტიკოსთა პოეტურ კონცეფციაში ღმერთი იქცა მშვენიერ “საგროლდ”, ხოლო ადამიანი მისგან “განშორებულ”, განჯულ მტერფედ, “შიჯურად”, ამასთანავე მისტიკურმა ექსტაზმა მიიღო მათრობელა “ღვინს” სიმბოლური სახე. ამ სამი პირობით წერტილის შეერთებით იქმნება მარტივი სქემა, სამკუთხედი, რომელიც გამოხატავს ირანელ მისტიკოსთა პოეზიის არსს. საგროლსაგან (ღმერთისგან) განშორებული პოეტი (ადამიანი) ეძალეა ღვინოს (სულიერ ექსტაზს), რათა მასში ჩაახშოს ამ განშორებისგან გამოწვეული სევდა და მიაღწიოს სანეგარო შეერთებას (ღმერთთან); აქედან მომდინარეობს სუფიური პოეზიისთვის დამახასიათებელი განშორების მოცივი (რომელიც, რასაკვირველია, არსებობდა სუფიზმამდელ პოეზიაშიც, მაგრამ მისტიკოსებმა თავისებური სემანტიკით აღჭურვეს იგი) და ამ გრაფიკული საკითხის ჰელონისტურ პლანში გადაწყვეტა (რაც სუფიზმმა ასევე ისეხა ადრინდელი პოეზიისგან და მასაც მისტიკური გავება მისცა)....“

## ჯალალ ედ-დინ რუმი

### სხვადასხვა ეპოქის ილოლომინა ჩარჩოებში

როგორც წინასიტყვაობის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ყოველი ეპოქა თავისებურად ცდილობდა რუმის შემოქმედების წარმოჩენას და საკუთარი, კონკრეტული ეპოქაში გამოწვეული შეხედულებებით აშუქებდა გენიალური პოეტის ნააზრვის წარმოჩენას; ასე მაგალითად: საბჭოთა ეპოქაში, როდესაც მოგადად რელიგია და რელიგიურობა ძალიან დიდ ნაკლად და დანაშაულად იყო მიჩნეული, ვერ გაურბოდნენ რა ჯალალ ედ-დინ რუმის ფენომენს, მის შესახებ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებებს სწორედ ანტირელიგიური ნიშნით ქმნიდნენ:

“...использовав теологическую одежду взглядов поэта, реакционное духовенство принялось истолковать гуманистический смысл его поэзии в ортодоксально – религиозном духе. Поэт не верил ни в какие чудеса, кроме «чуда человеческого сердца». После его смерти сочинители житий поэта в богоугодном усердии стали изображать его «святым чудотворцем». Всю жизнь поэт сражался с рели-

гиозной догматикой и обрядностью, сковывавшими живую мысль и чувство. После смерти поэта его привычки и обыкновения, его пляски и манера одеваться, самые его стихи были канонизированы, превращены в часть религиозного обряда. Все это привело к тому, что бунтарская суть его поэзии, его жизненный подвиг оказались погребенными под семивековым прахом богоугодных истолкований". (Радий Фиш, Джалалиддин Руми, Москва, 1972, стр. 6)

(კლევ ციგაბა)

Несмотря на усиленное сопротивление поборников правоверного ислама, идеи Джалалиддина Руми все больше проникали в гущу народа, находили свое признание и идеологам Ислама ничего не оставалось, как смириться с их возрастающей популярностью... уже с середины 19-го века, благодаря появлению революционно-демократических идей, в мусульманском мире стала возможной оценка творчества Джалалиддина Руми в ином разрезе — в плане протипоставлений идейной направленности его творчества канонам мусульманской религии (Нодир Одилов, Мировоззрение Джалалиддина Руми Издательство "Ирфон", Душанбе, 1974)

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, აბსურდია, ანუ ჯალალ ედ-დინ რუმის შემოქმედების მიხედვით ანტირელიგიურ ფუნდამენტად, მაგრამ არც ის არის ჭკუასთან ახლოს, რომ ყველაფერი მისტიურ საბურველში გახვიოს და სხვა არაფერი ჩანდეს, სუფიზმის გარდა. მავლანას შემოქმედების მხოლოდ (ისლამის) რელიგიური ფილოსოფიის კუთხით განხილვა გარკვეულწილად ჩარჩოებში აქცევს მას და შეუმჩნეველი რჩება ბევრი სხვა ზოგადსაკაცობრიო სულისკვეთება...

### ჯალალ ედ-დინ რუმი და საქართველო

იყო თუ არა რუმი ნამყოფი საქართველოში? იცოდა თუ არა მან ქართული ენა ან თუნდაც ჰქონდა თუ არა წარმოდგენა ქართულ ლიტერატურაზე? რა იცოდა საქართველოს შესახებ?

ეს კითხვები საფუძვლიანად აწუხებს ბევრ ქართველ მკვლევარს თუ ჯალალ ედ-დინ რუმის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულ ადამიანს და ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ პოეტს თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში ძალზედ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა რუმის სასულთნოს დედოფალთან გურჯი-ხათუნთან, რომელიც, მოგეხსენებათ, თამარ მეფის ასულის რუსუდანის შვილი იყო და თავადაც თამარი ერქვა... მატიანეთა ცნობით, გურჯი-ხათუნმა ქრისტიანული რწმენა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა და, როგორც მოსწავლე (მიურიდი) ჯალალ ედ-დინ რუმისა, აუცილებლად მიაწვდიდა ინფორმაციას თავის მოძღვარს საქართველოზე, ჩვენს ენასა და კულტურაზე, იქნებ "ვეფხისტყაოსანზე". ეს ვარაუდების სფეროა და არსებობს იმედი,

რომ პოეტისა და გურჯი-ხათუნის მიმოწერის შესწავლა ბევრ საინტერესო თემას მოჰყენს ნათელს...

გურჯი-ხათუნის და ჯალალ ედ-დინ რუმის ურთიერთობის შესახებ უკვე ბევრი საინტერესო პოლიგრაფიული, ელექტრონული თუ ვიდეო მასალა არსებობს და ყველას შეუძლია მათი ნახვა ინტერნეტში; სხვათა შორის, ის ერთადერთი პორტრეტი, რომელიც არსებობს პოეტის რეალური გამოსახულებით, ასევე ქართველმა დედოფალმა დაახაგვინა რუმის ერთადერთი შემორჩენილი პორტრეტი, ხოლო მავზოლეუმის გუმბათი ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ფორმით ააშენებინა (იხილეთ გარეკანის ბოლო გვერდი).

ეს ყველაფერი ცნობილია, მაგრამ უცნობია აკაკი წერეთლის შემოქმედებაში "რუმისული" მოტივების გამოჩენის მიზეზი... იქნებ აკაკი პეტერბურგში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლისას გაეცნო ან თავად ჯალალ ედ-დინ რუმის ან ვინმე მისი მიმბაძველის შემოქმედებას და მათგან შთაგონებულმა, დაწერა ეს:

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,

ხან არც ისა ვარ, არც ისა!

გარემოების საყვირი,

არც მიწისა ვარ, არც ცისა.

ნუ მკიცხავ, მნახო უგურად,

ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა;

სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი

ამ ჩემს გონება-გრძნობასა.

ეს გული, ხარკედ ქვეული,

ბუნების ნათავხელია;

მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,

რასაც შიგ ჩაუხელია.

ენაც მას ამბობს, რაც სმენას

სხვისაგან გაუგონია;

ან თვალს უნახავს და ჭკუას

გაუზომ-აუწონია!

თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,

სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!

შუაკაცი ვარ უბრალო,

ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

ცხადია, მგკიცება იმისა, რომ აკაკიმ იცოდა სუფიზმის პრინციპები და მათი გავლენით დაწერა ეს ლექსი, შეუძლებელიცაა და გაუმართლებელიც, მაგრამ მოცემული ლექსი, რომ არ ვიცოდეთ მისი ავტორის ვინაობა, ნამდვილად ჯალალ ედ-დინ რუმის ყაზალის თარგმანად მოგვეჩვენებოდა. რაც შეეხება ზოგადად აკაკი წერეთლის მხრივ სპარსულ პოეზიასთან სიახლოვეს და მის ცოდნას, ამაში გვარწმუნებს თუნდაც სათაური ლექსისა "შიქასგა", რაც სპარსულად დამსხვრეულს ნიშნავს და აღმოსავლური ლირიკის ერთ-ერთ სალექსო ფორმას

წარმოადგენდა, ამავეს ამტკიცებს ამ ლექსის აგებულება და შინაარსიც, არსებობს კიდევ სხვა მსგავსებანიც ჩვენი მგოსნის შემოქმედებაში, თუნდაც ის, რომ “ბაში-არუკი” დაწერა სწორედ აკაკიმ და არა ვინმე სხვამ, მაგრამ ეს უკვე ჯალალ ედ-დინის პოეზიის კრებულის თემატიკას შორდება და აღარ გაეაგრძელებთ სიგყვას.

\*\*\*

ქართული მკითხველი უშუალოდ ჯალალ ედ-დინ რუმის შემოქმედებას მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გაეცნო, როცა მეცნიერებმა და მთარგმნელებმა ხელი მოჰკიდეს რუმის ყაზალების თუ იგავების თარგმნას და ამით ძალიან დიდი საქმე გააკეთეს, რამაც მკითხველთა დიდი ინტერესიც დაიმსახურა. გამოცემულია ბევრი წიგნი, სადაც თავმოყრილია ამბაკო ჭელიძის, მაგალი თოდუას, თამაზ ჩხენკელის, ვახუშტი კოტეგიშვილის, ნომადი ბართაიას, ნომრეევან ჯიშკარიანის, გიორგი ლობჯანიძის შესანიშნავი თარგმანები და დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ არაერთი პოეტური კრებული თუ სამეცნიერო ნაშრომი გამოვა.

\*\*\*

ჩემი ნაცნობობა რუმისთან კი სტუდენტობის პირველივე წლიდან შედგა და შემდეგ, როცა უკვე სათანადოდ დავეუფლე სპარსულ ენას ბატონი ჯემალ აჯიაშვილის რჩევითა და დახმარებით შევეუდექე თარგმნას და 1987 წელს რამდენიმე ყაზალი ეურნალ “საუნჯემი” დაიბეჭდა. თქვენს ხელთ არსებულ წიგნში მხოლოდ ათიოდეათი იყავი ყაზალი, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში ვთარგმნე, ყველა დანარჩენი მიმდინარე 2014 წელს ითარგმნა.

ქართული თარგმანი, ცხადია, აბსოლუტურ თანხედრას ვერ დაიკეცხნის, რადგან ის მხატვრულია და ამასთანავე თავისუფალი მიდგომის პრინციპებით არის შესრულებული, რაც პოეტურობის შენარჩუნებას ემსახურება და არა მეცნიერულ სიმუსტეს; მათთვის, ვისაც სურს იცოდეს, თუ რა წერია ლექსში შეუცვლელად და შეუბღალავად, მოგიერთ ყაზალს და ყველა რობაის და ვურთეთ ინგლისურ ენაზე შესრულებული სიგყვასიგყვი-

თი თარგმანები.

ე.წ. პოეტური (მხატვრული) თარგმანი, ცხადია, ვერანაირად ვერ იქნება ორიგინალის მუსიკა ასლი და თუ არის ასეთი, მაშინ ის მოკლებულია მხატვრულობის ყველანაირ ღირსებებს... “პოეტური თარგმანი”, გარდა იმისა, რომ ლიტერატურული ნაწარმოებია (წესით უნდა იყოს), მას სხვა მოვალეობაც აკისრია – ის ერთგვარი კომენტარი და ახსნა-განმარტებაა (სხვა ენაზე) ლექსისა... ჩემი თარგმანების პოეტურობასა და მხატვრულობაზე, ბუნებრივია, მე თვითონ ვერ ვიმსჯელებ, რაც შეეხება სიმუსტეს (უფრო კარგად თუ ვიგვიტო – ორიგინალთან სიახლოვეს), ეს შეგიძლიათ დაადგინოთ ასე: ა) თუ სპარსული იცით, თარგმანზე დართული ლექსისაშუალებით გაარკვევთ; ბ) თუ კარგად არ იცით, ლექსიკონი დაგეხმარებათ ორიგინალის მუსტად გაგებაში და გ) თუ საერთოდ არ იცით - ინგლისური ან რუსული თარგმანების მიხედვით გაარკვეთ – რამდენად ვარგა ან არ ვარგა თარგმანი.

### ინსანიგჰაჰის უინალი

...და როცა ჩაივლის ყველა ის ეპოქა, რომელთა განმელობაში ადამიანების გონება განთავისუფლდება ყველა მისტიკისა თუ იდეოლოგიისგან, ჯალალ ედ-დინ რუმი თავისი “არაამქვეყნიურობით” კი აღარ მოხიბლავს ყველგან და ყველაფერში სასწაულების და სკანდალების მაძიებელ მკითხველს, არამედ იმ გასათყარი პოეტური გეჰნიკით, მშობლიური ენის უკიდურესად მხატვრული ფლობით და სალექსო “კონგლიორობით” (ასე ვთქვათ), რაშიც მას ბადალი არ ჰყავს მსოფლიო პოეზიის იმ წარმომადგენელთა შორის, ვისი შემოქმედებაც ასე თუ ისე წაკითხული მაქვს ორიგინალის ენაზე... არ გამოვირცხავ, რომ რუმის კონკურენტები ჰყავს იმ პოეტთა შორის, ვისაც მე არ ვიცნობ, თუმცა ეს სრულიად წარმოუდგენელია – ჯალალ ედ-დინ რუმის პოეტური გეჰნიკა, ალბათ, არის მწვერვალი და მღვარი ადამიანური შესაძლებლობებისა პოეზიაში...

ალექსანდრე ელერდამეილი  
11 აგვისტო, 2014 წელი



მოცემული წიგნის ყაზალების და რობაიების ნომრები შეესაბამება იმ თანამიმდევრობას, როგორც არის ჯალალ ედ-დინ რუმის დივანის ელექტრონულ ვერსიაში (<http://ganjoor.net/moulavi/>)

აფორიზმები ამოღებულია “მესნევის” ექვსივე ღვთისმშობლის და მათი ნომრები სრულიად პირობითია და მკითხველთა ორიენტირების გაადვილების მიზნით არის დასმული.

თარგმანზე მუშაობისას დიდი დახმარება გავიწიე საიგმა, სადაც თავმოყრილია სპარსული ენის რამდენიმე განმარტებით, ასევე გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა ლექსიკონები (<http://www.vajehyab.com>)

ჯალალ ედ-დინ რუმის ერთ-ერთი ნაწარმისათვის პოეტური

# غزليات از ديوان شمس

<http://ganjoor.net/moulavi/shams/robaeesh/>

## ყაზალიები

### “ღაზალი” თუ “ყაზალი”?

აქ თითქოს უკვე ყველაფერი გარკვეულია და ქართულ სამეცნიერო თუ მთარგმნელობით ლიტერატურაში დამკვიდრებულია ფორმა “ყაზალი”, მაგრამ ადრე წერდნენ “ღაზალს/ღაზელს”, შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენთანაც “ყაზალი” დამკვიდრდა, მაგრამ აქა-იქ დღესაც გვხვდება “ღ” ამ სიტყვის თავში (შევიძლიათ იხილოთ საქართველოს ერთ-ერთი თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლის ე.წ. “სამაგისტრო პროგრამა” (<http://www.atsu.edu.ge/>), სადაც აღმოსავლური ფილოლოგიის შესახებ საუბრისას ყველგან “ღაზალი” წერია... ეს ჯერაც საკამათო საკითხია, ალბათ, მეცნიერთა შორის, თუნდაც იმიტომ, რომ, ვთქვათ, სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი სპარსული თეოლოგის და ფილოსოფოსის სახელს “ღ”-თი წერენ (აბუ ჰამიდ მუჰამად იბნ მუჰამად ალ-ღაზალი) იგივე მეცნიერები, ვინც კატეგორიული წინააღმდეგია “ღაზალისა” და სალექსო ფორმას “ყაზალ”-ად მოიხსენიებს... ერთი სიტყვით, გაურკვეველობაა... პირადად მე ჩემი მასწავლებლების – დავით კობიძისა და ვახუშტი კოტეგიშვილისგან – “ყაზალი” გავიგე პირველად და ამ გრადიციის ერთგული დავრჩი დღემდე...

სიტყვა “ყაზალი/ღაზალი” არაბული წარმოშობისაა და საგრფიალო ამბავს და მოგადად გრფობასაც ნიშნავს (غزل - ორიგინალში წერია ასო “ღ” غ, უბრალოდ სადავო ისაა, თუ ვინ როგორ კითხულობს და როგორ ესმის – “ღ” თუ “ყ”?);

სპარსულ კლასიკურ ლიტერატურაში ასეთი პოეტური ქმნილება, თავისი დამახასიათებელი ფორმით, IX-X საუკუნიდან გაჩნდა და, შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. “სპარსული რენესანსის” ერთ-ერთი საყრდენი ცნება გახდა. ყველა, დიდი თუ პატარა, სპარსული ლირიკოსი იყენებდა “ყაზალის” ფორმას (ვთქვათ, ყასიდის, ყითას, რობაის ან დუბუთის პარალელურად) და, გარდა საგრფიალო თემატიკისა, ფილოსოფიური თუ დიდაქტიკური დაგვირგვინებითაც შესძინეს მას და, აქედან გამომდინარე, სპარსულ “ყაზალს” მხოლოდ აგებულება აქვს სპეციფიური, თორემ არც სალექსო მომის და არც შინაარსის თვალსაზრისით არანაირი შემღვდვები არ ახასიათებს.

### როგორი აგებულებისაა “ყაზალი”?

1. მოცულობით, როგორც წესი, 5-12 ბეითისგან შედგება, თუმცა ჯალალ ელ-დინ რუმის ღივანში და სხვებთანაც უფრო მეტი ბეითების მქონე ყაზალებიც არსებობს.
2. პირველი ბეითის პირველი მისრა ერთმება მორე მისრას და შემდეგ ეს რითმა შენარჩუნებულია ყოველი ბეითის ბოლოს. მათთვის, ვინც არ იცნობს სპარსული ლექსის ჩაწერის ფორმას, განუმარტავთ, რომ ტექსტი იწერება მარჯვნიდან მარცხნივ... იხილეთ ნიმუში და დააკვირდით სარიტმო ერთეულების მდებარეობასაც, ეს ვიზუალურადაც ჩანს (რითმების ფორმულა ასეთია – AA, BA, CA, DA, EA, FA და ა.შ.):

- (A) شب گشت وليک پيش اغيار ← روزست شب من از رخ يار  
 (A) گر عالم جمله خار گيرد ← مايم ز دوست غرق گلزار  
 (A) گر گشت جهان خراب ومعمور ← مستست دل و خراب دلدار  
 (A) زيرا که خبر همه ملوليست ← اين بي خبريست اصل اخبار

3. სპარსულ ყაზალებში, და განსაკუთრებით ჯალალ ედ-დინის ლექსთა კრებულში, ძალიან ხშირია ე.წ. “რელიფის” არსებობა, რაც განსაკუთრებულ აკუსტიკურ მომხიბვლელობას (...და ვიზუალურსაც კი) ანიჭებს პოეტურ ქმნილებას. “რელიფი”

وی کیمیای کانها کانی و چیز دیگر  
 وی مشرب مذاقی آنی و چیز دیگر  
 وی عقل اولین را ثانی و چیز دیگر  
 هر صنعتی که خواهی تانی و چیز دیگر

4. “თახალოსი”; ეს გახლავთ ავგორის მიერ საკუთარი სახელის მოხსენიება ყაზალის ბოლო ბეითში (უფრო ხშირად პირველ მისრაში, თუმცა გვხვდება მეორეშიც და იშვიათად წარმოადგენს სარიითმო ერთეულსაც კი); ჯალალ ედ-დინ რუმისთან “თახალოსის” საკითხიც საკმაოდ ბუნდოვანია (ბუნდოვანი რომ არ იყოს, ეს იქნებოდა საკვირველი): ყველა ლექსში არ გვხვდება, ან არის რამდენიმე ვარიანტი და უფრო ხშირად ლექსში ამრობრივი დაგვირთვა აქვს, ვიდრე უბრალოდ მოხსენიება ავგორისა, როგორც, ვთქვათ, საადისთან და ჰაფეზთან, ვისთანაც თახალოსი მიმართვის ფორმაა ანუ ჩვენი გაგების წოდებით ბრუნვას წარმოადგენს და ამას ავგორი საკუთარი თავის მიმართ ახორციელებს, წარმოადგენს რა თავის თავს მეორე პირად... ისიც უნდა ითქვას, თახალოსი თავდაპირველად განიხილებოდა როგორც ერთ-ერთი საწინააღმდეგო საშუალება ლექსის გაყალბებისა და პლაგიატისა, მაგრამ მოგვიანებით მან რაღაც სტილისტურ-დეკორატიული ფუნქცია შეიძინა და ყაზალის აუცილებელ აგრიბუგად იქცა.

იმის გამო, რომ აღმოსავლელ პოეტთა ლექსთა კრებულებში ყაზალები განლაგებულია ანბანური პრინციპით (ბეითის ბოლო ასოს გათვალისწინებით) და არა ლექსის შექმნის თარიღის და ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდის დაიწერა ესა თუ ის ყაზალი; ჯალალ ედ-დინ რუმის ყაზალებში ქრონოლოგიის დადგენა შეუძლებელია “თახალოსის” მიხედვით (თუმცა ესეც საკმაოდ პირობითია), ანუ: თუ ბოლოში არის “ხამუშ” ან ხოდავანდგარ”, ესე იგი ლექსი დაწერილია მანამ, სანამ რუმი თავის მუშას, “თავრიზის მშენ” შეხვდებოდა... და იმის გათვალისწინებით, რომ პოეტმა ერთ მშვენიერ დღეს იგრძნო, რომ მასში მისი იღუმალი მოძღვრის სული ჩასახლდა, ლექსების ბოლო სტრიქონებში გაჩნდა “შამს-ე თაბრიზ”, რაც უკვე “თახალოსის” დანიშნულებას ასრულებს ამის პირდაპირი გაგებით (პოეტი მიმართავს მას), ხოლო აღრინდელი “ხამუშ” (მღუმარე) ან “ხოდავანდგარ”, ალბათ, მხოლოდ

გახლავთ სიგყვა ან სიგყვათა ჯგუფი, რაც უცვლელად მეორდება სარიითმო ერთეულის შემდეგ, იხილეთ კიდევ ერთი ნიმუში, სადაც სარიითმო ერთეულს ერთი ხაზი აქვს გასშული, ხოლო რელიფს - ორი:

ای جان جان جانها جانی و چیز دیگر  
 ای آفتاب باقی وی سافی سوافی  
 ای مشعله یقین را وی پرورش زمین را  
 ای مظهر الهی وی فر پادشاهی

ხშირი განმეორების გამოა მიჩნეული “თახალოსად” და ლექსის უკანასკნელ ბეითში ამრობრივადაა ჩაქსოვილი, ამიტომაც მისი თარგმანი გვაძლევს სხვადასხვა ვარიანტებს: მღუმარე, ღუმელი, დაღუმება და ა.შ...

- დაეხსენ ქალაღს, დაღე კალამი, აწ აღღუმართოთ ღუმღღს ალაამი (0001)

- აწ დაღღღღღღღღღღღ და გულისხმას აეამეგეველებ (0110)

- ღუმღღღღ მღეღღღღ! ჩვენც ღუმღღღღ გვერჩიოს, თორემ (0692)

“შამს-ე თაბრიზი” კი ბევრ ყაზალში არის მიმართვის ან, როგორც პიროვნული მოხსენიების, ობიექტი და ამ ფუნქციითვე შევინარჩუნეთ ამ წიგნშიც, ოღონდ თარგმანის სახით - “თავრიზის მშენ” (ეს უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა ქართულ ლექსში, მთარგმნელის აზრით):

- ჩემი სული აფრინდება თავრიზის მშის სულამღღღ (0692)

- ჰე, თავრიზის მშევე, ანგელოზო მიმგევებელო (1459)

- თავრიზის მშის სულის ასამაღლებლად... (1567)

\*\*\*

არსებობს ჯალალ ედ-დინ რუმის ყაზალების ქრონოლოგიურ-მინაარსობრივი კლასიფიკაციის სხვა მოსაზრებებიც (რომ არ არსებულებოდა, ეს იქნებოდა საკვირველი), ვთავაზობთ ერთ მათგანს:

“...ფორმით და შინაარსით მავლანას ყაზალები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველში შევიგანოთ ე.წ. დერვიშული ლექსები (*ყალანდარანე*), რაც აღსავსეა სულიერი ექსტაზით; მეორე ჯგუფში გავეერთიანოთ ყაზალები, სადაც აღწერილია აღამიანის განვითარების საფეხურები და მის მგრძნობიარე სულის სრულყოფილების დაუსრულებელი პროცესი (*ნაფსი*). მეორე ჯგუფის ყაზალებში ზოგჯერ გვხვდება მთხრობელობითი ვანრის გექსტებიც, უფრო სწორად თუ ვთქვათ - სულიერ მთხრობელობითი” (*Ahmad Tamimdari, The History of Persian Literature, 2007, page 78*).

••••

ای آتشی افروخته در بیسه اندیشه ها  
 بر مستمندان آمدی، چون بخشش و فضل خدا  
 مطلب تویی طالب تویی، هم منتها، هم مبتدا  
 هم خویش حاجت خواسته، هم خویشتن کرده روا  
 باقی بهانه ست و دغل، کاین علت آمد، و آن دوا  
 گه مست حورالعین شده، گه مست نان و شوربا  
 کز بهر نان و بقل را، چندین نشاید ماجرا  
 و اندر میان جنگ افکنی، فی اصطناع لا یری  
 جان رب خلصنی زنان، واللہ که لاغست ای کیا  
 کاغذ بنه بشکن قلم، ساقی در آمد، الصلا

ای رستخیز ناگهان، وی رحمت بی منتها  
 امروز خندان آمدی، مفتاح زندان آمدی  
 خورشید را حاجب تویی، امید را واجب تویی  
 در سینه ها برخاسته، اندیشه را آراسته  
 ای روح بخش بی بدل، وی لذت علم و عمل  
 ما زان دغل کژ بین شده، بای گنه در کین شده  
 این سکر بین، هل عقل را، وین نقل بین، هل نقل را  
 تدبیر صد رنگ افکنی، بر روم و بر زنگ افکنی  
 میمال پنهان گوش جان، مینه بهانه بر کسان  
 خامش که بس مستعجلم، رفتم سوی پای علم

0001

პოი, აღმდგარო მკვდრეთით წამიერ,  
 ჰე, უსასრულო წყალობაო და  
 ფიქრების გვერში მგზნებარე ცეცხლო  
 და უნაბესო გალობაო და  
 შენი ღიმილი ჩვენ გზად გვხვდება და  
 მოხველ დილეგის გასაღებად და  
 გვიძღვენ სიკეთე, რაც რამ გებადა,  
 შენ, ღრმა გრძნობებზე უფრო ღრმაო და  
 თვით ხარ სურვილი, თვით ხარ მსურველი,  
 საწყის-სასრულზე ერთად მზრუნველი,  
 განკურნებული და უკურნელი,  
 ბაოსთვის მშეო და მშის ბაო და...  
 მკერდში ვნებათა თვით ჩამსახველო,  
 მამშვენებელო და ამსახველო,  
 თვისთა სურვილთა თავად მზრახველო  
 და მათზე თავად თანახმაო და...  
 უბადლო სულო ყოვლი არსების,  
 სიგურფე შენგან მოიგარსების,  
 შენთვის გვაქვს გულში სნებაც და ვნებაც,  
 უთქმელობაც და გულისთქმაო და...

მავან ავსულთა უგნური ბოღვით  
 ჩვენ, უცოღველნი, აღვივსეთ ცოღვით...  
 მოღვით, თქვენ, არსნო ციურნო, მოღვით...  
 კვლავ გაგვაგონეთ თქვენი ხმაო და...  
 მაღლის არსია არსი გონების,  
 არსი სიაიმის ქმნის და ქონების,  
 პური არსობის არ არს ვგონებ ის,  
 მუცელს რომ ავსებს ჭამა-სმამო და...  
 ყოველ შვილს ღვთისას შენ აძლეე რჩევას,  
 არ სდეე თეთრის და შავის გარჩევას,  
 ავიწყებ თმის და მგრობის ჩვევას,  
 ვინც კია უფლის ძე და ყმამო და...  
 ჩვენს სულში რათა მღვსიებერ ცურავდე,  
 გულისთქმას ჩვენსას მიაყურადე,  
 ლხინით ლხინამდე, ურვით ურვამდე  
 გაღმიდან თან გვდეე გამოღმამო და...  
 დავეხსნათ ქაღალდს, დავღვთო კალამი,  
 სჯობს აღეუმართოთ ღუმელს ალაბი  
 და მერიქიფეს ვუძღვნათ სალაბი  
 ჩვენ, მეგობარო ჩემო, ძმამო და...

აზორიზმი

(01) გრ بيا موزی . صفيير بلبلی تو چه دانی کو چه دارد با گلی

რაგინდ ბულბულს შეედარო და მასავით მორთო სგვენა,  
 ვერ გაიგებ – ვარდს რად ეგრფის და რას გალობს მისი ენა.

... 9

آن جام جان افزای را برریز بر جان ساقیا  
 دور از لب بیگانگان پیش آر پنهان ساقیا  
 آن عاشق نانباره را کنجی بخشبان ساقیا  
 برجه گدارویی مکن در بزم سلطان ساقیا  
 چون مست گردد پیرده رو سوی مستان ساقیا  
 ور شرم داری یک قدح بر شرم افشان ساقیا  
 تابخت ما خندان شود پیش آی خندان ساقیا

من از کجا پند از کجا باده بگردان ساقیا  
 بر دست من نه جام جان ای دستگیر عاشقان  
 نانی بده نان خواره را آن طامع بیچاره را  
 ای جان جان جان ما نامدیم از بهر نان  
 اول بگیر آن جام مه بر کفه آن پیر نه  
 رو سخت کن ای مرتجامست از کجا شرم از کجا  
 برخیز ای ساقی بیا ای دشمن شرم و حیا

0009

აბა, მე სად და გონება სად და...  
 სჯობს ღვინო მასვა, ჰე, მერიქიფევე!  
 დამაშვრალ-სულზე საესე ჯამები  
 სჯობს გადამასხა, ჰე, მერიქიფევე!  
 სჯობს შენც გაიგო გრფობის ფანდები,  
 მიჯნურთა შორის როცა ბრძანდები  
 და შორეული უცხო ლანდები  
 ჩვენს ირგვლივ დასხა, ჰე, მერიქიფევე!  
 პურის მსურველთა იგრძენ სურვილი,  
 მოუკალ ბედკრულ მწყურვალს წყურვილი,  
 მიჯნური, ცეცხლით შემობურვილი,  
 სჯობს მშვიდად დასვა, ჰე, მერიქიფევე!  
 ეპა შენ სულო, სრულთაგან სრულო,  
 პურს არ გთხოვთ, სევედა გვაქვს უსასრულო...

სულთანთან გლახაკს არ ეღირსება  
 არც ლხინი არც სმა... ჰე, მერიქიფევე!  
 სჯობს მოგვეცე ჯამი უზარმაზარი,  
 რომ ყრმას და მოხუცს დაგვეცეს თაუზარი,  
 დაგვისხა ღვინო, ვნებით ნაზავი,  
 და მოვრალეებს გვასვა, ჰე, მერიქიფევე!  
 სად მოვრალი და სად რიდი და კრძალვა,  
 ან სასოების გულდაგულ მალვა?!  
 თვით შიშს და იმედს გიჯობს ეს ღვინო  
 ჯამებით ასხა, ჰე, მერიქიფევე!  
 გაუსადლისი კენესა და ოხერა  
 გაქრება, შენ თუ ღმილით მოხვალ,  
 ამ საწუთროდან ღმილით რომ ხვალ  
 ჩვენც შეგებლოთ წასვლა... ჰე, მერიქიფევე!



აფორიზმები

(02) عذر نادان زهر هر دانش بود

عذر احمق بتر از جرمش بود

პატიებას თუ გთხოვს ბრყივე, სხვა ცოდვისთვის შეიქმნება ამაღს.  
 უმეცართა პატიება მეცნიერთა საქმეს წამლავს.

(03) دست و جامه می سیه گردد ازو

ظاهر نقره گر استیبدست و تو

გარეგნულად თუმცა ვერცხლი თვითრად და ამაღს,  
 ხელს და სამოსს რომ ამავეს, ცნობილია რამაღს.

. 036

دفع مده دفع مده ای مه عیار بیا  
 تشنه مخمور نگر ای شه خمار بیا  
 بلبل سرمست تویی جانب گلزار بیا  
 یوسف دزدیده تویی بر سر بازار بیا  
 بار دگر رقص کنان بی دل و دستار بیا  
 ماه شب افروز تویی ابر شکر بار بیا  
 گاه میا گاه مرو خیز به یک بار بیا  
 پخته شد انگور کنون غوره میفشار بیا  
 ای خرد خفته برو دولت بیدار بیا  
 ور ره در بسته بود از ره دیوار بیا  
 مرهم مجروح بیا صحت بیمار بیا  
 شادی عشاق بجو کوری اغیار بیا  
 چند زنی طبل بیان بی دم و گفتار بیا

خواجه بیا خواجه بیا خواجه دگر بار بیا  
 عاشق مهجور نگر عالم پرشور نگر  
 پای تویی دست تویی هستی هر هست تویی  
 گوش تویی دیده تویی وز همه بگزیده تویی  
 از نظر گشته نهان ای همه را جان و جهان  
 روشنی روز تویی شادی غم سوز تویی  
 ای علم عالم نو پیش تو هر عقل گرو  
 ای دل آغشته به خون چند بود شور و جنون  
 ای شب آشفته برو وی غم ناگفته برو  
 ای دل آواره بیا وی جگر پاره بیا  
 ای نفس نوح بیا وی هوس روح بیا  
 ای مه افروخته رو آب روان در دل چو  
 بس بود ای ناطق جان چند از این گفت زبان

0036

მოდი, უფალო, მოდი, უფალო,  
 ოდეს გარს ბრახვეებს მოისევე, მოდი!  
 ნუ განმიბლუდავ, თავისუფალო,  
 ნუ განმიბლუდავ, მო, ისევე, მოდი.  
 მო, ნახე ჩვენი ღრგვინება და შუოთი,  
 აქ მეტრფეს საგრფო არ სწყალობს „პოთი“,  
 მწყურვალნი სხედან მებრუ და ლოთი...  
 მოდი, სიბრუვის მეუფევე, მოდი!  
 თავად ხარ ფეხი, თავად ხარ ხელი,  
 ხარ ყოველ არსთა არსობა მთელი,  
 შენ ბუღბუღი ხარ მთვრალი და ხელი,  
 მო, მრავალთაგან რჩეულო, მოდი!  
 თავად ხარ თვალი, თავად ხარ ყური,  
 შენ ნებიერნი გიმბერენ შურით,  
 იოსებს მიეც შენ ხელი მპური,  
 მო, ერთგულებას ჩვეულო, მოდი;  
 ვის ძალუძს, მბერას ხუნდი აპყაროს  
 და შეემბეროს სულთა სამყაროს?  
 მო, მოემბევე ამ ბნელს, ამ ხაროს...  
 მო, უსახოდ და უნიღბოდ მოდი!  
 დღის სინათლეთა სხივი შენა ხარ,  
 ჯავრში თმენა ხარ, ჭირში ლხენა ხარ,  
 არმურში მოვარის შუქთაფენა ხარ,  
 მო, გამკითხავო ღრუბელო, მოდი  
 ეპა, სიბრძნეო სხვა საბრძანისთა,  
 შენგან ცხოვრება გადახალისდა!

მარად მაუწყე იყავ ახლის და  
 წა, ხან იქ წადი, მო, ხან აქ მოდი!  
 ეპა, გულს შინა ნაქლენთო სისხლით,  
 ჩვენზედ ცარგვალი მოიქცა რისხვით,  
 ყურძენი გვიმწიფს ჩვენ მისხის მისხით...  
 მო, ჩაგვიწურე თალარში, მოდი.  
 ეპა, გამშორდი, შმაგო არმურო,  
 გასწით სევედავ და ვნების აღმურო!...  
 რად გსურს, ო, გონო, რომ მაღამურო!  
 მოდი, სიფხიმლის სამყაროვე, მოდი!  
 ეპა, მო, სულო გმებდაცვეთილო,  
 მო, გულო ჩემო, მთლად დაფლეთილო  
 კარს თუ ვერ ჰპოვებ, ჩემო კეთილო,  
 მო, მომიმსხერე კედლები, მოდი!  
 ეპა, წყალობა ცოლვიანს მოე,  
 ეპა, მო, ფიქრებს მოესათნოვე,  
 მო, მომეველინე ისე, ვით ნოე,  
 მო, მოავადის კურნებად მოდი.  
 ეპა, შენ მთვარის ციმციმა სახე,  
 გულს შინა სისხლის ჩქეფა კვლავ ნახე,  
 გვაკმარო მიჯნურთ ხამს სივავლახე,  
 სხვათა ვერხილის სიცხადევე, მოდი!  
 შაბაშ, შენ, რაიყ იენე სულო,  
 შაბაშ შენც, სიგყვავ, ენიდან თქმულო!  
 ხამს ეს ღალადი მივასასრულო...  
 მო, უჩქამოდ და უსიგყვოდ მოდი!

0037

يار تويي غار تويي خواجه نگهدار مرا  
 سينه مشروح تويي بر در اسرار مرا  
 مرغ كه طور تويي خسته به منقار مرا  
 قند تويي زهر تويي بيش ميازار مرا  
 روضه اوميد تويي راه ده اي يار مرا  
 آب تويي كوزه تويي آب ده اين بار مرا  
 پخته تويي خام تويي خام بمگذار مرا  
 راه شدی تا نبدي اين همه گفتار مرا

يار مرا غار مرا عشق جگرخوار مرا  
 نوح تويي روح تويي فاتح و مفتوح تويي  
 نور تويي سور تويي دولت منصور تويي  
 قطره تويي بحر تويي لطف تويي قهر تويي  
 حجره خورشيد تويي خانه ناهيد تويي  
 روز تويي روزه تويي حاصل دريوزه تويي  
 دانه تويي دام تويي باده تويي جام تويي  
 اين تن اگر كم تندي راه دلم كم زندي

0037

მეგობარო! ჩემო, ძმავ და  
 ღრმა გრძნობაზე უფრო ღრმავე და  
 სიყვარულის გულისთქმავე და  
 ჭირსა შიგან დამიცავ და...  
 შენ ხარ ნოც, მისი სულიც,  
 საწყისიც და აღსასრულიც,  
 მკერდის წიაღ იღუმალთა  
 შენთა ფიქრთა ზიარ მყავ და...  
 ლხენა შენ ხარ, ფრენა შენ ხარ,  
 სხივთა გარდმოვლენა შენ ხარ,  
 ფრინველი ხარ სინას მთისა,  
 ფრინველო და სინას მთავ და...  
 შენ ხარ მიწა, შენ ხარ თესლი,  
 შენ ხარ სიკვობ, შენ ხარ გესლი...  
 სიკეთით და ბოროტებით  
 ნუ მდაგავ და ნულარ მწვავ და...  
 შენში იგვე სივრცეს ციურს,  
 მშის საბუღარს და გზას მზიურს,  
 დღეს და იმედს ყოველდღიურს...  
 სივრცევე ჩემო, ჩემო გზავ და...  
 შენ მაღლი და წყალობა ხარ,  
 ლოცვა ხარ და გალობა ხარ,  
 ღოქი ხარ და წყალი ხარ და  
 ამ წყლის შესმის ნებას მრთავ და...  
 მსხვერპლიც შენ ხარ, მახვეც შენ ხარ,  
 მწიფეც შენ ხარ, მკეახვეც შენ ხარ,  
 ღვინოც ხარ და ჯამიც ხარ და  
 სულს ღვთიური სითხით რწყავ და...  
 ჩემს ტანში რაც ცეცხლი ენთო,  
 გვექონდა ჩვენ საერთო მანეთო...  
 აწ შენს ნაცვლად დარჩა გზა და...  
 მეც სათქმელი დამიმთავრდა.



(ინგლისური პოეტური თარგმანი)

I need a lover and a friend,  
 All friendships you transcend  
 And impotent I remain  
 You are Noah and the Ark,  
 You are the light and the dark  
 Behind the veil I remain  
 You are passion and are rage,  
 You are the bird and the cage  
 Lost in flight I remain  
 You are the wine and the cup,  
 You are the ocean and the drop  
 While afloat I remain  
 I said, "O Soul of the world!  
 My desperation has taken hold!"  
 "I am thy essence," without scold,  
 "Value me much more than gold."  
 You are the bait and the trap,  
 You are the path and the map  
 While in search I remain  
 You are poison and the sweet,  
 You are defeated and defeat  
 Sword in hand I remain  
 You are the wood and the saw,  
 You are cooked, and are raw  
 While in a pot I remain  
 You are sunshine and the fog,  
 You are water and the jug  
 While thirsty I remain  
 Sweet fragrance of Shams is  
 The joy and pride of Tabriz  
 Perfume trader I remain.

<sup>1</sup> კომენტარები იხილეთ ამ ყაზალის ლექსურ გაანალიზებაში, რომელიც ლექსიკონამდგა განთავსებული.

<p>هزاران چنگ ديگر هست اين جا          چه کم آيد بر ما چنگ و سرنا          بسی چنگي پنهانيست يارا          اگر چه نايد آن در گوش صما          چو غم چون سنگ و آهن هست برجا          نياید گوهری بر روی دريا          که عکس عکس برق اوست بر ما          برابر نيست فرع و اصل اصلا          از آن ره باش با ارواح گويا</p>	<p>تو بشکن چنگ ما را ای معلا          چو ما در چنگ عشق اندر فتاديم          رباب و چنگ عالم گر بسوزد          رنگ و تنتنش رفته به گردون          چراغ و شمع عالم گر بميرد          به روی بحر خاشاکست اغاني          وليکن لطف خاشاک از گهر دان          اغاني جمله فرع شوق وصلیست          دهان بر بند و بگشا روزن دل</p>
---	--

0110

ჩვენს ჩანგს სიმები რომ დასწყვიტე, დილო ბაგონო!,  
 გვაქვს სხვა ათასიც... მათ ვერასდროს დაეპაგრონო.

თავად გავებით სიყვარულის ჩანგზე სიმებად,  
 ნამღვლილი ჩანგი, მართლაც გიჯობს, შენთან დატოვო.

შენ რომ დასწყვიტო ყველა ჩანგს და რუბაბს სიმები,  
